# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულო

## განკარგულება № 72

2021 წლის 12 აპრილი
ქ.გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შესრულებული სამუშაოს**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. იურიდიული განყოფილების შემადგენლობაში დღეის მდგომარეობით შედიან მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი და 9 საჯარო მოხელე.

იურიდიული განყოფილება 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში (შემდგომში „საანგარიშო პერიოდი") ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. აღნიშნულ პერიოდში განყოფილება უზრუნველყოფდა მერის (კანონისმიერი წარმომადგენლის) მიერ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, მერიის ინტერესების დაცვას მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოებში; ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარის, მე-3 პირის სტატუსით მონაწილეობას, შესაბამისი სარჩელის (განცხადების, შუამდგომლობის), შესაგებლის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, კერძო საჩივრების და საჩივრების მომზადებას და წარმოებას საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში. გადაწყვეტილებების (განჩინებების) გასაჩივრების, სარჩელის ან სააპელაიო და საკასაციო საჩივრის ცნობის შესახებ, ასევე სასამართლოს მიერ შეთავაზებული მორიგების პირობების მარწმუნებლისათვის გაცნობას და სავარაუდო შედეგების განმარტებას, მარწმუნებლის გადაწყვეტილების საფუძელზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას საერთო სასამართლოების სიტემაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვას, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადაგზავნას სააღსრულებო წარმოების დასაწყებად. მონაწილეობას გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დაწყებულ წარმოებაში. ამ მიზნით იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ ფუნქციონირებას; იურიდიული განყოფილება შეისწავლიდა და უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ახორციელებდა მათ ვიზირებას; ამზადებდა სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროქტებს (დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები, წერილები და სხვა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ახორციელებდა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების მომზადებას. დადგენილი წესით უზრუნველყოფდა დისციპლინური წარმოების წესებისა და პროცედურების განხორციელებას. უზრუნველყოფდა მერიის იურისდიქციას დაქვემდებარებული სამსახურებისა და გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების იურიდიულ კონსულტირებას, კომუნიკაციას გარე ორგანიზაციებთან ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით. ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნას, მათში ცვლილებების შეტანასა და სარეგისტრაციოდ წარდგენას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი

ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის" საფუძველზე მოქალაქეებზე გასცემდა საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობებს. საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილება ჩართული იყო გორის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიების, საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის ისეთი მუდმივმოქმედი კომისიების/სამუშაო ჯგუფების/საბჭოების მუშაობაში, როგორიცაა: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის ბრძანების საფუძველზე შექმნილი პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის სამუშაო ჯგუფი, გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ნაწილის შესახებ არსებული რაოდენობრივი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტების (DES) მეშვეობით იურიდიულ განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით შემოსული 3832 (სამი ათას რვაას ოცდათორმეტი) დოკუმენტი, აქედან 548 (ხუთას ორმოცდარვა) წერილი და 3284 (სამი ათას ორას ოთხმოცდაოთხი) მოხსენებითი ბარათი. შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე ან/და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე იურიდიული განყოფილების მიერ შესრულებულია 2883 (ორი ათას რვაას ოთხმოცდასამი) გასული წერილი, 222 (ორას ოცდაორი) მოხსენებითი ბარათი და 338 (სამას ოცდათვრამეტი) ბრძანება. გარდა იურიდიული განყოფილების მიერ შექმნილი აღნიშნული დოკუმენტებისა, განყოფილების მიერ ხორციელდება დამატებით სხვა სამსახურების მიერ შექმნილი დოკუმენტების (გარდა შიდა დოკუმენტაციისა) შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში შესწორება და ვიზირება. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტების (DES) მეშვეობით განხორციელდა 8389 (რვა ათას სამას ოთხმოცდაცხრა) სხვადასხვა სირთულის წერილის შესწავლა და ვიზირება, ხოლო მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის (MMS) მეშვეობით განხორციელდა 1592 (ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) სხვადასხვა სირთულის წერილის შესწავლა და ვიზირება. ასევე, მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის (MMS) მეშვეობით განხორციელდა 4568 (ოთხი ათას ხუთას სამოცდარვა) ბრძანების შესწავლა და ვიზირება.

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA"-ს მეშვეობით (აღნიშნულ სისტემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერია 2020 წლის ოქტომბრიდან გადავიდა) საანგარიშო პერიოდში იურიდიულ განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით 615 (ექვსას თხუთმეტი) შემოსული კორესპონდენცია და 284 (ორას ოთხმოცდაოთხი) შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი). შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე ან/და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იურიდიული განყოფილების მიერ შესრულებულია 196 (ას ოთხმოცდათექვსმეტი) გასული პასუხი, 80 (ოთხმოცი) შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი) და 103 (ას სამი) ბრძანების პროექტი. გარდა იურიდიული განყოფილების მიერ შექმნილი აღნიშნული დოკუმენტებისა, განყოფილების მიერ ხორციელდება დამატებით სხვა სამსახურების მიერ შექმნილი დოკუმენტების (გარდა შიდა დოკუმენტაციისა) შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში შესწორება და ვიზირება. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი „ელექტრონული მმართველობის ერთიანი

სისტემა - MSDA"-ს მეშვეობით განხორციელდა 1581 (ათას ხუთას ოთხმოცდაერთი) წერილისა და ბრძანების შესწავლა და ვიზირება.

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად გაცემულია 5 (ხუთი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ან/და გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურების მომართვის საფუძველზე იურიდიული განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში შექმნილია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილია 36 (ოცდათექვსმეტი) საკრებულოს დადგენილების პროექტი და 37 (ოცდაჩვიდმეტი) საკრებულოს განკარგულების პროექტი.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით შემოსული განცხადებების საფუძველზე მომზადდა: სტატუსის მინიჭების თაობაზე ბრძანება 3939 (სამი ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი) ბენეფიციარზე, ხოლო სტატუსის შეწყვეტის ბრძანება მომზადდა 122 (ას ოცდაორი) ბენეფიციარზე. აგრეთვე გაიცა 2772 (ორი ათას შვიდას სამოცდათორმეტი) ცნობა და 112 (ას თორმეტი) წერილი.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება ჩართული იყო მხარედ (მოსარჩელედ ან მოპასუხედ) 85 (ოთხმოცდახუთი) სასამართლო დავაში (სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში), აქედან, დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობს (ამ დროისათვის არ დასრულებულა) 56 (ორმოცდათექვსმეტი) სასამართლო დავა, ხოლო 29 (ოცდაცხრა) სასამართლო დავა დასრულებულია. მითითებული 85 (ოთხმოცდახუთი) დავიდან გორის მუნიციპალიტეტის მერია მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 42 (ორმოცდაორი) სასამართლო დავაში და მოპასუხე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 43 (ორმოცდასამი) სასამართლო დავაში. ზემოაღნიშნული, დასრულებული 29 (ოცდაცხრა) სასამართლო დავიდან 6 (ექვსი) დავა დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტრესების საწინააღმდეგოდ, ხოლო 23 (ოცდასამი) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების სასარგებლოდ.

ინფორმაცია 2020 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე სასამართლოებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით იხილეთ დანართი 1-ის სახით.

დანართი 1

ინფორმაცია 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში სასამართლოებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით

| N | დავის მხარეები | | დავის საგანი | პერიოდი | რა შედეგით დასრულდა მერიისთვის | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსარჩელე | მოპასუხე | | | | |
| 1 | შპს ალონისი | გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა | ინდ . აქტის გამოცემა. თანხის დაკისრება | 2017 წლიდან დღემდე | მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. | მიმდინარე. საქმე გორის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია |
| 2 | თენგიზ ჭელელიძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | საკომლო წიგნის ჩანაწერების ბათილად ცნობა | 2018- 2020 წწ. | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 3 | ზურაბ გიგაური | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2018 წლიდან დღემდე | | მიმდინარე 1-ელ ინსტანციაში |
| 4 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ა(ა) იპ დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირი | იჯარის დავალიანების დაკისრება , გამოთავისუფლება | 2017 წლიდან დღემდე | | მიმდინარე 1-ელ ინსტანციაში |
| 5 | თენგიზ მეტრეველი | გორის მუნიციპალიოტეტის გამგეობა | ინ. აქტის ბათილად ცნობა | 2017-2020 წწ. | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა | დასრულდა.უზენაესმა დაუშვებლად სცნო. |
| 6 | ნინო შავშიშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2018 წლიდან დღემდე | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა 1-ელ ინსტანციაში | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 7 | სერგო ლაფაჩი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ.. აქტის გამოცემა | 2018 წლიდან დღემდე | | მიმდინარე 1-ელ ინსტანციაში |
| 8 | ნინო ლომსაძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზრაურება | 2018 წლიდან დღემდე | მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1-ელ ინსტანციაში | მიმდინარე უზენაეს სასამართლოში |
| 9 | თენგიზ ძიძიგური | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2018 წლიდან დღემდე | 1-ელ ინსტანციაში მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 10 | შპს "გელა" | გორის მუნიციპალიტეტის მერია | მატერიალური ზიანის ანაზღაურება | 2018 წლიდან დღემდე | | მიმდინარე |
| 11 | ალექსანდრე ვალიაური | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა,იძულებითი მოცდენის ანაზღაურება, კომპენსაციის გადახდა | 2015-2020 | სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კომპენსაციის ნაწილში 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით | მიმდინარე, გასაჩივრებულია საკასაციო სასამრთლოში |
| 12 | შ.პ.ს ,,გრანდ-ემი" | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. | 2015 წლიდან დღემდე | | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს ,,ს.ე.ნ" | ქმედების განხორციელებს დავალდებულება | 2017 წლიდან დღემდე | | მიმდინარე |
| 14 | შ.პ.ს ,, მედმშენი" | ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია | თანხის დაკისრება, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. | 2016 -2020 | პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება | დასრულდა |
| 15 | ირაკლი მაჭარაშვილი | ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია | მერიისთვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრება, უკანონოდ წართმეული ქონების ღირებულებით, | 2017 წლიდან - დღემდე | დაკმაყოფილდა ნაწილობრივ მერიასთან მიმართებაში. ზიანის ანაზღაურება დაეკისრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას სოლიდარულად | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 16 | ნინო გელაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | მობილობის პროცედურების განხორციელების შედეგად სამსახურში დანიშვნის ბრძანების გამოცემის დავალდებულება და განაცდურის ანაზღაურება | 2017 წლიდან დღემდე | პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მერიას დაეკისრა 5 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით კომპენსაციის გაცემა, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება | მიმდინარე. გასაჩივრებულია საკასაციო სასამართლოში |
| 17 | თამაზ კობახიძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | ინდ აქტის ბათილად ცნობა | 2018 წლიდან დღემდე | | დასრულდა.სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. |
| 18 | ოთარ ალავერდაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია, გიორგი ფარესაშვილი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | ინდ აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემა | 2018 წლიდან დღემდე | სარჩელი არ დაკმაყოფილდა | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 19 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს დია | ხელშეკრულებით გატვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება | 2019-2020 | | მიმდინარე |
| 20 | გურამ ნოზაძე | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები, გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდულურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა | 2018 წლიდან დღემდე | | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | იამზე კურტანიძე | იჯარის თანხის და პირგასამტეხლოს დაკისრება | 2019-2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა. |
| 22 | ანზორ კურტანიძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა | 2019-2020 | მოსარჩელის მოთხოვნა პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 23 | იზოლდა გოცირიძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა | 2019-2020 | | მიმდინარე |
| 24 | გაიოზ პაპუაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა | 2019-2020 | | მიმდინარე |
| 25 | ლევან გურჩიანი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | საკომლო წიგნის ჩანაწერების ბათილად ცნობა | 2019-2020 | სარჩელი გახმობილი იქნა. | დასრულდა |
| 26 | დიანა ბალამწარაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა | 2019-2020 | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა | მიმდინარე სააპელაციო სასმართლოში |
| 27 | ნუგზარ ჯანეზაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ აქტის აღიარება | 2019-2020 | | მიმდინარე |
| 28 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | თათია ელიაშვილი | იჯარის თანხისა და პირგასამტეხლოს დაკისრება | 2019-2020 | დაკმაყოფილდა ნაწილობრივ | დასრულდა |
| 29 | ირმა ჯიკაევი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა | 2019-2020 | მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 30 | თეიმურაზ მანველიშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის დაკისრება | 2020 | პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. | მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში |
| 31 | გიორგი და ლუიზა გურწიშვილები | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მიწის იდენტობის დადგენაზე) ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო. | დასრულდა |
| 32 | გიორგი და ლუიზა გურწიშვილები | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მიწის რეგისტრაციის თაობაზე) ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო. | დასრულდა |
| 33 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. კახაბერ ლომიძე | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2019-2020 | სარჩელი იქნა გამოხმობილი, ვინაიდან ი.მ. კახაბერ ლომიძის მიერ სრულად დაიფარა არსებული დავალიანება. | დასრულდა |
| 34 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. ალექსანდრე არუთინიანი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2019-2020 | შეწყდა საქმისწარმოება სარჩელის გამოხმობის საფუძველზე (მხარეთა შეთანხმება) | დასრულდა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს "ბ და ც" | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2019-2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 36 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. მამუკა რაზმაძე | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 37 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. კობა ბალახაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 38 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. მალხაზ შოშიაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 39 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს მანზო - 2010 | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | სარჩელი იქნა გამოხმობილი, ვინაიდან მოპასუხის მიერ სრულად დაიფარა არსებული დავალიანება. | მიმდინარე |
| 40 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. ნინო თუშიშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა | მიმდინარე |
| 41 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს მშენებელი - 77 | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა | მიმდინარე |
| 42 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. კობა მებადური | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 43 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. გურამ მაღალდაძე | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დაკისრება | 2020 | პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა | მიმდინარე |
| 44 | სერგეი მაკიევი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალური ადმინსტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება | 2019-2020 | მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1-ელ ინსტანციაში,აპელაციაშია გასაჩივრებული | მიმდინარე |
| 45 | შუშანა ხაბალაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2019-2020 | | მიმდინარე, გასაჩივრებულია სააპელაციო სასამრთლოში |
| 46 | ასმათ ბეჟანიშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2019-2020 | | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 47 | გურამ ყველაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | მოხდა მორიგება | მიმდინარე |
| 48 | შპს ნიკალა | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 49 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინ მეწარმეები და შპს | დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების გადასახადის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 50 | მზია ხარხელი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე |
| 51 | შპს მკურნალი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე |
| 52 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს ემ ბი სი | პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 53 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს პრაიმ ენერჯი | პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 54 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შპს პრაიმ ენერჯი | პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 55 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ფ/პ მაკა იარდაშვილი | მუნიციპალიტეტის ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთავისუფლება | 2020 | | მიმდინარე |
| 56 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. პარტნიორი ისანი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 57 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. ლიდერმესი გორი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 58 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. ნუგზარ სვიანაძე-იმედი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 59 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. მეტალი + | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 60 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. ალექსანდრე ალექსიძე | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 61 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. მზევინარ მოციქულაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 62 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. საბა | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 63 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. ლუიზა მამულაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი არ დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 64 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. მელანო კობლიაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე სარჩელი გამოხმობილ იქნა | დასრულდა |
| 65 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. დიმიტრი ალიმბარაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი გამოხმობილ იქნა | დასრულდა |
| 66 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. თეა დემურაშვილი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე სარჩელი გამოხმობილ იქნა | დასრულდა |
| 67 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ. მარინე ციცაგი | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 68 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. ანუკი 2000 | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 69 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. ოკეანე | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 70 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | შ.პ.ს. გენო + | ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება | 2020 | სარჩელი დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 71 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ფ/პ რევაზ ბუჩუკური | საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 72 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ფ/პ გიორგი სეხნიაშვილი | საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 73 | ნუკრი მამესწარაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ადმ.სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე |
| 74 | ეთერ კარელიძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდულურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა | 2020 | მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 75 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | დიმიტრი შარიფოვი | ინდივიდუალური ადმინსტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე |
| 76 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ნინო თინიკაშილი | სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3ბ/241-20 ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ | 2020 | | მიმდინარე, გასაჩივრებულია საკასაციო სასამრთლოში |
| 77 | ელენე წიწიკაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოში | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 78 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ მიხეილ ხახაშვილი | დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების გადასახადის დაკისრება | 2020 | | მიმდინარე |
| 79 | თეიმურაზ ფარეხელაშვილი | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა | დასრულდა |
| 80 | გორის მუნიციპალიტეტის მერია | მუშანა ხაბალშვილი | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე, გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში |
| 81 | თეონა გამსახურდია | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2020 | მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო. | დასრულდა |
| 82 | დავით ხუბულური | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2020 | ნაწილობრივ დაკმაყოფილდა | მიმდინარე |
| 83 | იულონ ჭიღლაძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე. |
| 84 | გიული სამხარაძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2019-2020 | 1-ლი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად | მიმდინარე. |
| 85 | გურამ ნადირაძე | გორის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. აქტის ბათილად ცნობა | 2020 | | მიმდინარე. |